ადამიანის უფლებები საქართველოში

2019

წარმოგიდგენთ GDI-ს მიერ მომზადებულ მიმოხილვას, რომელიც ასახავს 2019 წლისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას საქართველოში და გამოყოფს ამ მიმართულებით არსებულ ძირითად პრობლემებსა თუ გამოწვევებს, რომელთა გადაჭრაც ფუნდამენტური მნიშვნელობის იქნება სამომავლოდ ადამიანის უფლებათა პოლიტიკის განსაზღვრისთვის და უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ დაცვის მექანიზმების გასაძლიერებლად.

დოკუმენტში მიმოხილულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან, თანასწორობასთან და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული საკითხები და უფლებების დარღვევის კონკრეტული ფაქტები. ასევე შეფასებულია ასეთ შემთხვევებზე ხელისუფლების რეაგირების ადეკვატურობა და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ახდენს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ფორმირებას.

ხაზგასასმელია, რომ 2019 წელს რიგი მიმართულებებით დაფიქსირდა ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს ეხება მაგალითად, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლის ფარგლებშიც დაიხვეწა დისკრიმინაციის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები, სანქცირებადი გახდა შევიწროება და სექსუალური შევიწროება, ასევე გაიზარდა სახალხო დამცველის უფლებამოსილებები კერძო პირებთან მიმართებაში.

აღნიშნულის პარალელურად, სამწუხაროდ, მკვეთრი გაუარესება შეინიშნება შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დაცვის კუთხით. განსაკუთრებით შემაშფოთებელია 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენები. სახელმწიფო მანიფესტაციის დასაშლელად მიმართავს არაპროპორციულ ძალას და არ იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მანიფესტაციის დაშლის წესსა და პროცედურებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს კერძო პირთა მიერ ამ უფლებით სარგებლობა და არ დაუშვას მესამე პირების მხრიდან აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ნებისმიერი ფორმა. მიუხედავად ამისა, ხშირია კონტრაქციის მონაწილეების მხრიდან ძალადობის გამოვლენის შემთხვევები, რაზეც სამართალდამცავი უწყებები არასათანადოდ რეაგირებენ. კვლავ მწვავე საკითხად რჩება LGBTQ+ თემის წევრების მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით სარგებლობა. ამ მიმართულებით სახელმწიფოს სისტემური პოლიტიკის არარსებობის პირობებში, ულტრანაციონალური და ჰომოფობიურად განწყობილი ძალებისგან მომდინარე ზეწოლის ფონზე, LGBTQ+ თემის წარმომადგენლებს ფაქტობრივად ჩამორთმეული აქვთ აღნიშნული კონსტიტუციური უფლება.

შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ კვლავ იგრძნობა სახელისუფლებო ორგანოების მიერ გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტის ხარისხის შემცირების ტენდენცია. საერთო სასამართლოები რიგ შემთხვევაში მიმართავენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციის იმგვარ მეთოდს, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას მეორეხარისხოვან უფლებრივ სიკეთედ წარმოაჩენს სხვა საჯარო მნიშვნელობის ინტერესთან მიმართებით. ასევე, ხშირია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმ სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით, რომლებიც არ არის მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციაში.

სავალალოა ის ფაქტიც, რომ მმართველი ძალა უგულებელყოფს საზოგადოებრივ განწყობებსა და კონსენსუსს ისეთი ფუნდამენტური სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე რეფორმების გატარებისას, როგორებიცაა საარჩევნო სისტემის ცვლილება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის ჯეროვანი პროცედურის განსაზღვრა. მსგავსი ტიპის პროცესებთან მიმართებით საზოგადოების წევრების მიერ პროტესტის უკიდურესი ფორმების გამოხატვამდე და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით კრიტიკული შეფასებების გასაჯაროებამდე, ხელისუფლება არც კი ცდილობს ინსტიტუციონალურ ცვლილებები გამჭვირვალობისა და დემოკრატიულობის პრინციპების დაცვის ფონზე განახორციელოს.

საბოლოო ჯამში საქართველო ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2018 წელთან შედარებით იგი გამოირჩევა მზარდი უარყოფითი ტენდენციებით. განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების ფრაგმენტულობა და რიგი მიმართულებებით სისტემური საჯარო პოლიტიკის არარსებობა ზრდის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებიდან გადახვევის რისკსა და შემთხვევებს. დემოკრატიის „მოწყვლადობა“ და პოლიტიკური პროცესების პოლარიზაცია, ისევე როგორც ძალაუფლების შენარჩუნებისაკენ მუდმივი სწრაფვა, აფერხებს საზოგადოების კონსოლიდაციასა და გრძელვადიან, შედეგებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას ადამიანის უფლებების სასარგებლოდ.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

1. **20-21 ივნისის საპროტესტო აქცია "სირცხვილია"**

2019 წლის 20 ივნისს რუსეთის დუმის დეპუტატი, სერგეი გავრილოვი, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად განიხილავს, საქართველოს პარლამენტში გაუძღვა მართლმადიდებლური ასამბლეის სხდომას. ამ ფაქტმა ძლიერ აღაშფოთა სამოქალაქო სექტორი და ოპოზიციური ძალები, რასაც მათი მხრიდან პარლამემენტის წინ აქციების დაანონსება მოჰყვა, ლოზუნგით- "სირცხვილია". მანიფესტანტები ითხოვდნენ მმართველი

ძალის წარმომადგენელი პირების პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. აქციის მონაწილე მცირე ჯგუფის მხრიდან ადგილი ჰქონდა საჯარო წესრიგის დარღვევას, მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ცალკეულ შემთხვევებს, რასაც ხელისუფლებამ მასშტაბური და არაპროპორციული ძალის გამოყენებით უპასუხა. სამართალდამცავებმა აღკვეთეს არა კანონის დარღვევის კონკრეტული შემთხვევები, არამედ ხელკეტების, რეზინის ტყვიებისა და წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალეს მშვიდობიანი აქცია.

განვითარებული მოვლენები ცხადჰყოფს, რომ პოლიციამ არ დაიცვა სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა და წესები, საქართველოს კანონმდებლობის მკაფიო მოთხოვნის მიუხედავად, შესაბამისი ორგანოების მხრიდან აქციის მონაწილეებისთვის გასაგები ფორმით არ გაკეთებულა გაფრთხილება აქციის შეწყვეტის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ძალის გამოყენების შესახებ. ზოგიერთ ეპიზოდში, პოლიცია რეზინის ტყვიებს მცირე დისტანციიდან, თავისა და სახის არეში დამიზნებით იყენებდა, რამაც გაზარდა დაზიანებების სიმძიმე.

ოფიციალური მონაცემებით 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებს 275 დაზარალებული ჰყავს, მათ შორისაა 187 სამოქალაქო პირი, 15 ჟურნალისტი და შინაგან საქმეთა სამინისტროს 73 თანამშრომელი. სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების შედეგად 28 მოქალაქეს დასჭირდა ქირურგიული ჩარევა, ხოლო ორმა სამოქალაქო პირმა ცალი თვალი დაკარგა. საგამოძიებო უწყებებს არ ჩაუტარებიათ დროული ეფექტური და მიუკერძოებელი საგამოძიებო მოქმედებები მომიტინგეებსა და სამართალდამცავებს შორის უშუალო დაპირისპირების ფაქტებთან დაკავშირებით. დაზარალებულის სტატუსი ამ დრომდე მიენიჭა მხოლოდ 8 სამოქალაქო პირს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთაგან 67 პირია დაზარალებულად ცნობილი.[1]

20 ივნისს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დაძაბული ვითარების სათანადო მართვა, არ გამოიყენა მის ხელთ არსებული კომუნიკაციის, მოლაპარაკებისა და დიალოგის რესურსი, არ დაიცვა კანონმდებლობის მოთხოვნა ძალის გამოყენების წესსა და ინტენსივობასთან დაკავშირებით, რითაც დაარღვია მშვიდობიანად შეკრებილი მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები. გამომდინარე აქედან, სწორედ მას ეკისრება პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა განვითარებული მოვლენებსა და დამდგარ შედეგთან მიმართებით.

2. აქცია პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის მოთხოვნით

2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული ტრაგიკული მოვლენების საპასუხოდ მმართველი პოლიტიკური პარტიის, "ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული წესით ჩატარდებოდა.

[1] "დაკარგული თვალის მიღმა", 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებშივი შეფასება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019, 5 < http://bit.ly/33YUVgo > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

აღნიშნულ პოლიტიკურ დაპირებას ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის მხრიდან დადებითი რეაქციები მოჰყვა. თუმცა ამ დაპირების მიუხედავად, 2019 წლის 12 ნოემბერს გამართულ პლენარულ სხდომაზე "ქართული ოცნების" მაჟორიტარმა დეპუტატებმა ჩააგდეს კანონპროექტი, რომლითაც უნდა მომხდარიყო პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა. ამ დაპირების შეუსრულებლობას მორიგი საპროტესტო ტალღა მოჰყვა პარლამენტის წინ. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებამ "ყველა მოატყუა", მათ რამდენიმეჯერ სცადეს პარლამენტის შენობის პიკეტირებაც, თუმცა სპეციალური დანიშნულების რაზმებმა მათ წინააღმდეგ ძალა გამოიყენეს. კერძოდ, მათ დაშალეს პარლამენტის პიკეტირების განზრახვით მოქმედი დემონსტრანტები, ორჯერ წყლის ჭავლის გამოყენებით (2019 წლის 18 და 26 ნოემბერს), ხოლო მესამეჯერ (28 ნოემბერს)- რკინის ჯებირების მეშვეობით გადაკეტეს პარლამენტის შესასვლელამდე მიმავალი გზა. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ბლოკირება კანონსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს, სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებები და გამოყენებული ძალა (განსაკუთრებით მანიფესტანტების დაშლა დილის ხუთ საათზე წყლის ჭავლის გამოყენებით) ლეგიტიმაციას აცლის მოქალაქეთა შეკრების თავისუფლებაში ჩარევას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოლიცია გაუმართლებლად ზღუდავდა მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა უფლებებს მაშინაც, როდესაც შეკრება პარლამენტის წინ კანონის ფარგლებში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით საგანგაშოა გათბობის მიზნით აქციაზე მიტანილი შეშისა და სხვა ნივთების ჩამორთმევის ფაქტები.[2] პოლიციამ აქციების მიმდინარეობისას ადმინისტრაციული წესით ათეულობით პირი დააკავა, რომელთა უმეტესობასაც ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა, თავად დაკავებული პირების სასამართლო პროცესი მრავალმხრივი დარღვევებით მიმდინარეობდა.[3] საპროტესტო აქციები დღესაც გრძელდება.

მმართველი ძალის მიერ განხორციელებულ ქმედებებსა და პოლიტიკური დაპირების სამართლებრივ რეალობაში არასახვას როგორც დიპლომატიური კორპუსის, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან უარყოფითი შეფასებები მოჰყვა.[4] აშკარაა, რომ მმართველი პარტიის გარდა ყველა თანხმდება 2020 წლიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის (ან ალტერნატიულად ე.წ. გერმანული მოდელის შემოღების) აუცილებლობაზე, რაც შექმნის თანასწორ საარჩევნო გარემოს ყველა პოლიტიკური სუბიექტისათვის და მათ საზოგადოებრივ მხარდაჭერას სამართლიანად ასახავს საპარლამენტო მანდატებზე.[5] აქვე გასათვალისწინებელია ბოლო დროს ჩატარებული

---

[2]< http://bit.ly/2E2egTq > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[3] < https://gdi.ge/ge/news/statement-21-11-2019.page > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[4] < http://bit.ly/2P5Wyo8 > ; < http://bit.ly/2LDXiyK> ; <https://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciata-sagangebo-gancxadeba.page> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[5] < https://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciebisa-da-samoqalaqo-aqtivistebis-mimartva-evropis-socialistur-partias.page > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

გამოკითხვებიც, რომელთა თანახმად, მოსახლეობის სრული უმრავლესობა ემხრობა არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას.[6]

3. **“ქართული ოცნების” მხარდამჭერების კონტრაქციები და დაპირისპირების შემთხვევები რეგიონებში**

“ქართული ოცნების” მიერ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ კანონპროექტის ჩაგდებასა და დაპირების შეუსრულებლობას საპროტესტო აქციები თბილისის გარდა სხვა ქალაქებშიც მოჰყვა.

2019 წლის 2 დეკემბერს მცხეთაში ახალგაზრდულმა მოძრაობამ “შეცვალეს”, სამოქალაქო მოძრაობა “გაბედეს” და “სირცხვილიას” წევრებმა მცხეთის მერიასთან, მაჟორიტარ დიმიტრი ხუნდაძისა ბიუროს წინ მოაწყვეს აქცია, სადაც ისინი აპროტესტებდნენ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ კანონპროექტის ჩაგდებას. აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირების მიზნით “ქართული ოცნების” მხარდამჭერებმა მოაწყვეს კონტრაქცია. მცხეთაში მიმდინარე ინციდენტისას შსს-მ 7 პირი დააკავა.[7] აღნიშნულის საპასუხოდ სამოქალაქო მოძრაობებმა საღამოს მშვიდობიანი აქცია თბილისში, “ქართული ოცნების” ცენტრალური ოფისის წინ გამართეს, სადაც მათ აგრესიულად განწყობილი “ქართული ოცნების” მხარდამჭერები დახვდნენ. მედიაში გავრცელებული კადებით იკვეთება, რომ პოლიციამ არ გამოიჩინა საკმარისი ძალისხმევა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და არ დაიცვა მშვიდობიანი აქციის მონაწილეები ძალადობისკენ მიდრეკილი პირებისგან.

განსაკუთრებით საგანგაშოა “ქართული ოცნების” მხარდამჭერების მიერ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა” და “გაერთიანებული ოპოზიციის” ოფისებზე განხორციელებული თავდასხმები.[8] ხელისუფლების მიერ აგრესიულად განწყობილი ჯგუფებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციების ერთიან კონტექსტში შეფასება[9], პოლიციის არასაკმარისი რეაგირება და არსებული დაძაბული ფონი მთლიანობაში ქმნის ვითარების ესკალაციის სერიოზულ საფრთხეებს, რაზეც პასუხისმგებლობა მოქმედ ხელისუფლებას ეკისრება.

4. **ფილმის “და ჩვენ ვიცეკვეთ” ჩვენება**

2019 წლის 8 ნოემბერს თბილისის კინოთეატრებში გაიმართა ფილმის “და ჩვენ ვიცეკვეთ” პრემიერა, რომელიც ეხება ახალგაზრდა ჰომოსექსუალი ადამიანის ცხოვრებას. თუმცა ფილმის ჩვენებამდე და მისი მიმდინარეობისას ძალადობრივმა ჯგუფებმა კინოთეატრების

---

[6] Public Opinion Survey Residents of Georgia, September-October 2019, 69-69 <https://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/georgia_poll_11.18.2019_final.pdf > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[7] < http://bit.ly/2sVzsbi > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[8] < https://www.radiotavisupleba.ge/a/30299396.html > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[9] < http://faxinter.news/?id=18271 > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

წინ მოაწყვეს აქცია, ისინი იმუქრებოდნენ, რომ არ დაუშვებდნენ სეანსის ჩატარებას, ჩაშლიდნენ პრემიერას და მოახდენდნენ კინოთეატრის ბლოკირებას.

მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა თბილისში, კინოთეატრ "ამირანთან", სადაც ძალადობრივი შეკრების მონაწილეები პერიოდულად აწვებოდნენ პოლიციის კორდონს და მის გარღვევას ცდილობდნენ. იყო ძალადობრივი ქმედებების კონკრეტული შემთხვევებიც. მაგალითად, სამოქალაქო აქტივისტს ანა სუბელიანს შეკრების მონაწილემ მყარი საგანი ესროლა და თავის არეში მძიმე დაზიანება მიაყენა. ამის გარდა აგრესიის მსხვერპლი პოლიტიკოსი დავით ბერძენიშვილიც გახდა, რომელიც პოლიციის კორდონით განარიდეს კინოთეატრს, იმის ნაცვლად რომ თავად მოძალადე პირები განეიტრალებინათ. შეკრების მიმდინარეობისას ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან არ წყდებოდა ჰომოფობიური და მუქარის შემცველი აგრესიული შეძახილები იმ პირების მიმართ, რომლებიც კინოთეატრში ფილმის სანახავად შედიოდნენ. [10]

უარყოფითად უნდა შეფასდეს ხელისუფლების უყურადღებობა ფილმის პრემიერამდე ძალადობრივი ჯგუფების ლიდერების განცხადებების მიმართ, რომლებიც საჯაროდ იმუქრებოდნენ და მხარდამჭერებს კინოჩვენების ჩაშლისკენ მოუწოდებდნენ. აღნიშნულ განცხადებებზე ხელისუფლების მხირდან რეაგირებას და სულ მცირე გამოძიების დაწყებას შესაძლოა პრევენციული ეფექტი ჰქონოდა და ხელი შეეშალა ძალადობრივი ჯგუფების აგრესიისთვის. არსებულ ვითარებას განსაკუთრებით ამწვავებს ძალადობრივი ჯგუფების შესაძლო კავშირები რუსეთთან და ხელისუფლების ორგანოების ინერტულობა იმ საფრთხეების მიმართ, რაც ასეთი ჯგუფების გაძლიერებას შეიძლება ახლდეს თან.

გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება უდავოდ წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს უფლებასა და მონაპოვარს, რომლითაც სარგებლობა თანაბრად უნდა შეეძლოს საზოგადოების ნებისმიერ წევრს, მათ შორის რადიკალურად განწყობილ ჯგუფებს. თუმცა მაშინ, როდესაც სახეზეა არსებითი და მყისიერი საფრთხე, რომ პროტესტი გადაიზრდება ძალადობაში, ხელისუფლებას უჩნდება ლეგიტიმური საფუძველი პროპორციული ზომების გამოყენებით აღკვეთოს ასეთი ქმედებები.[11]

5. ღირსების მარში

2019 წლის 8 ივლისს "თბილისი პრაიდმა" შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის წინ მოაწყო "ღირსების მარში", თუმცა არა იმ ფორმითა და მასშტაბებით, რაც მის ორგანიზატორებს ჰქონდათ დაგეგმილი. ამის მიზეზი იყო ის, რომ საზოგადოებაში არსებული რადიკალური და ნეგატიური განწყობების ფონზე, "თბილისი პრაიდმა" ხელისუფლებისგან ვერ მიიღო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარანტიები. აქციის მცირე მასშტაბები აიხსნება

[10] < https://gdi.ge/ge/news/ara-fobias-gamoxmaureba-2019-wlis-8-noembers-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit.page > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[11] < https://gdi.ge/ge/news/ara-fobias-gamoxmaureba-2019-wlis-8-noembers-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit.page > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

ულტრანაციონალური ძალებისგან მომავალი საფრთხეებით. ორგანიზატორებს არ სურდათ, რომ ინფორმაცია "ღირსების მარშის" ჩატარების თაობაზე საზოგადოების ფართო წრეებისთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი. [12]

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული უფლებაა და სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება დაიცვას ამ უფლების სუბიექტები მესამე პირებისგან მომავალი ნებისმიერი საფრთხისგან. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო არ ასრულებს ამ ვალდებულებას და არ იცავს იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ რომ ღიად დააფიქსირონ საკუთარი პროტესტი და ისარგებლონ საჯარო სივრცეებით ისე, როგორც ნებისმიერმა სხვა ადამიანმა. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ფორმირებული და გამძაფრებული საზოგადოებრივი წნეხის პირობებში და პოლიტიკური ნების არ არსებობის გამო LGBTQ+ თემის წარმომადგენლები დღემდე ვერ ახერხებენ ამ უფლებით სარგებლობას.

6. ძალადობრივი ჯგუფების კონტრაქციები

2019 წლის 14 ივნისს LGBTQ+ თემის წარმომადგენლებმა და მხარდამჭერებმა მთავრობის კანცელარიის წინ აქცია გამართეს. აქციის ჩატარების მიზეზი გახდა ხელისუფლების (შსს-ს) მხრიდან გარანტიის არ მიცემა ღირსების მარშის უსაფრთხოდ ჩატარებასთან დაკავშირებით, რასაც ასევე დაემატა საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებული განცხადება, სადაც ისინი მთავრობას მოუწოდებდნენ რომ არ მიეცათ LGBTQ+ თემის წარმომადგენლებისთვის ღირსების მარშის ჩატარების შესაძლებლობა. კანცელარიასთან მისულ აქციის მონაწილეებს ადგილზე მათ მიმართ აგრესიულად განწყობილი ძალადობრივი ჯგუფები დახვდნენ, რომელთა მხრიდანაც ისმოდა მუქარა მათი მისამართით, ასევე ძალადობისკენ მოწოდება და ანტიდასავლური მესიჯები. შექმნილი ვითარების გამო, მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს ტერიტორიის დატოვება პოლიციის თანხლებით, მიკროავტობუსებით მოუწიათ. შსს-მ ინციდენტში მონაწილე 28 პირი დააკავა.[13]

2019 წლის 16 ივნისს კი ძალადობრივი ჯგუფები ვერის ბაღში შეიკრიბნენ. შეკრების ერთ-ერთი ორგანიზატორის, ლევან ვასაძის, განცხადებით ისინი ჩამოაყალიბებდნენ ე.წ. "სახალხო რაზმებს", მიმართავდნენ უშუალო ფიზიკური ძალადობის ფორმებს და არ დაუშვებდნენ LGBTQ+ თემის მიერ "ღირსების მარშის" ჩატარებას. ხოლო იმ შემთხვევაში თუკი სამართალდამცავები ეცდებოდნენ "თბილისი პრაიდის" ორგანიზატორთა დაცვას, უკან არ დაიხევდნენ და ხის კომბლების გამოყენებით ეცდებოდნენ ამ წინააღმდეგობის დაძლევას[14]. შსს-მ ამ განცხადებაზე გამოძიება დაიწყო, თუმცა ხელშესახები შედეგები აღნიშნულ გამოძიებას ამ დრომდე არ მოჰყოლია. ამდენად, 14 ივნისს კანცელარიასთან

[12] < https://www.radiotavisupleba.ge/a/30043935.html > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[13] < https://civil.ge/ka/archives/308548 > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[14] < https://on.ge/> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

ლგბტ+ აქტივისტებს არ მიეცათ საკუთარი უფლებების რეალიზების საშუალება. ისინი, ისევე როგორც იქ მყოფი სხვა მშვიდობიანი მოქალაქეები, ჟურნალისტები და სახალხო დამცველის წარმომადგენლები, გახდნენ მუქარისა და ძალადობის ობიექტები, რაზეც ხელისუფლებას სათანადო რეაგირება არ ჰქონია.

გასათვალისწინებელია, რომ, მსგავსი კონტრაქციების მოწყობამ ბოლო წლებია პერმანენტული ხასიათი მიიღო და მათი აბსოლუტური უმრავლესობა არამშვიდობიანი და ძალადობრივია. მაგალითად, ასეთი კონტრაქცია ჩატარდა ბასიანის სპეცოპერაციის შემდეგ გამართული მშვიდობიანი აქციის საწინააღმდეგოდ 2018 წლის მაისში, აქცია "სირცხვილიას" წინააღმდეგ 2019 წლის ივლისში, ფილმის "და ჩვენ ვიცეკვეთ" ჩვენებასთან დაკავშირებით 2019 წლის ნოემბერში და ა.შ.[15]

აღნიშნული ჯგუფები საჯაროდ იმუქრებიან, ავლენენ აგრესიას და გამოირჩევიან ძალადობრივი ქმედებებით საზოგადოების სხვა ჯგუფების მიმართ (მაგალითად მიგრანტების, LGBTQ+ თემის, კლუბური ცხოვრების მოყვარული ახალგაზრდების მიმართ), თუმცა სახელმწიფოს მათი მოქმედებების საწინააღმდეგოდ აქვს მხოლოდ რეაქციული მიდგომა, ისიც არასათანადო დონეზე. ასეთი ჯგუფების გაძლიერების და პერმანენტულად მშვიდობიანი აქციის მონაწილეების დაშინების და დაშლის შემთხვევების გაზრდა განპირობებულია სწორედ ხელისუფლების ინერტულობით და ამ მიმართულებით რაიმე პოლიტიკის არარსებობით, მეტიც უფრო მეტად მყარდება ამ ჯგუფებისა და ხელისუფლების თანამშრომლობის ეჭვები. ამგვარი ტენდენციის გაგრძელებამ კი შესაძლოა კონფლიქტის ახალი კერების გაჩენა და ვითარების გაუარესება გამოიწვიოს.

7. **2019 წლის 17 მაისი**

2019 წლის 17 მაისს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს LGBTQ+ თემის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს საჯარო დემონსტრაციის ორგანიზების გზით გაესვათ ხაზი თავიანთ უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მოწყვლად სოციალურ სტატუსზე. 2014 წელს საქართველოს საპატრიარქომ 17 მაისი "ოჯახის სიწმინდის" დღედ გამოაცხადა, რაც სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული ერთგვარი იდეოლოგიური იერიში იყო. აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გეგმაზომიერი პოლიტიკის შეუმუშავებლობა კიდევ უფრო აძლიერებს საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური ტენდენციების და ულტრანაციონალური ძალების გააქტიურებას იწვევს. არებული სოციო-პოლიტიკური წნეხიდან გამომდინარე 2019 წელს LGBTQ თემის წარმომადგენლებს არც კი გამოუჩენიათ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის ინიციატივა.

[15] <http://www.tabula.ge/ge/story/132700-qsenofobiuri-ultranacionalisturi-jgufebi-rustavelis-gamzirze-aqcias-martaven> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებთ ნაკისრი სახელმწიფოს ვალდებულებისა, გაატაროს ინკლუზიური საჯარო პოლიტიკა და უზრუნველყოს თანაბარი უფლებრივი გარანტიები საზოგადოების ყველა წევრისთვის, ხელისუფლება არ იღებს სისტემურ ზომებს საზოგადოების კონსოლიდაციისა და ტოლერანტული გარემოს ჩამოსაყალიბებლად.

8. **პანკისი ხეობაში მომხდარი დაპირისპირება**

შპს "ალაზანი ენერჯიმ" 2019 წლის აპრილში პანკისის ხეობაში განაახლა ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები. აღნიშნული ფაქტი გააპროტესტეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, პროტესტი კი სამართალდამცავებსა და ადგილობრივებს შორის ღია ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. დაპირისპირების შედეგად დაშავდა 55 ადამიანი- 37 პოლიციელი და 17 მოქალაქე.[16]

ზემოაღნიშნულ ინციდენტში განვითარებული მოვლენები, რომ კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ხელისუფლებას არ აქვს შემუშავებული სისტემური პოლიტიკა და შემოიფარგლება კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე რეაგირების უშუალო ფორმებით.

გამოხატვის თავისუფლება

1. **კუპრავას საქმე**

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 1 აგვისტოს ზვიად კუპრავა დამნაშავედ სცნო სასამართლოს უპატივცემულობისათვის და მას სანქციის სახით 9 თვიანი პატიმრობა შეუფარდა. საქმე ეხება 2018 წლის 11 ივნისს მომხდარ ინციდენტს, როდესაც ზვიად კუპრავა, საქმის მიმდინარეობისას გამოცხადებულ ერთ საათიან შესვენებაზე იმყოფებოდა სასამართლოს შენობაში არსებულ სასადილოში, ამ დროს, პოლიციელებმა მიმართეს მას და მოუწოდეს სასადილოს დატოვებისა და სხდომის დარბაზში გამოცხადებისკენ. ზვიად კუპრავამ მოთხოვნის საპასუხოდ აღნიშნა, რომ ის სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლებული იყო განსაზღვრული დროით, ხოლო აღნიშნული დრო ჯერ ამოწურული არ იყო. ამასთან, კონკრეტული მოსამართლის მიმართ გააკეთა შეურაცხმყოფელი განცხადება (კერძოდ,სასქესო ორგანოზე] ეკიდა მოსამართლე").[17]

მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელება და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ხელშეშლა უდავოდ წარმოადგენს დაცვის ღირს ინტერესს, რომლის გამოც შესაძლოა არსებობდეს გარკვეული პასუხისმგებლობის ზომა, თუმცა საგანგაშოა ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენების მაშინ, როდესაც პირი განცხადებას აკეთებს

[16] < http://bit.ly/2PvWtcn > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[17]< https://gdi.ge> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

სასამართლო დარბაზის გარეთ და იგი არ უშლის ხელს არც მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას და არც სასამართლოს დამოუკიდებლობასა თუ მიუკერძოებლობას. ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ იმის გამო რომ თავად განცხადება შეიცავდა შეურაცხმყოფელ სიტყვებს, პირის პასუხისგებაში მიცემა ეწინააღმდეგება კონსტიტუციით დაცულ გამოხატვის თავისუფლების სტანდარტს, რომელიც ერთი მხრივ იცავს შეურაცხმყოფელ გამოხატვას, მეორე მხრივ კი აკისრებს თმენის ვალდებულებას მოსამართლეებს მათ მიმართ გამოთქმული (მათ შორის შეურაცხმყოფელი) განცხადებების მიმართ.[18] ამავდროულად, ეს შემთხვევა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ სასამართლო ხელისუფლება არატოლერანტულადაა განწყობილი მისი მიმართებით გავრცელებული განსხვავებული შეხედულებების, კრიტიკული და შეურაცხმყოფელი მოსაზრებების მიმართ და საკუთარ გადაწყვეტილებებში, როგორც წესი, გამოხატვის თავისუფლების დაცვის დაბალ სტანდარტით ხელმძღვანელობს.

GDI-ს წარმომადგენლობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებულია სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმა, რომლის საფუძველზეც ზვიდ კუპრავას შეეზღუდა გამოხატვის თავისუფლება და შეეფარდა პატიმრობა.

2. **სოციალური ქსელის შიდა ჯგუფში გამოქვეყნებული განცხადების ხულიგნობად კვალიფიცირება**

სტუდენტის, ბუბა ნაჭყებიას მიერ დახურულ ფეისბუქ ჯგუფში, ლექტორის გიორგი გორაშვილის მიმართ გავრცელებული შეურაცხმყოფელი განცხადებები თბილისის საქალაქო სასამართლომ წვრილმან ხულიგნობად დააკვალიფიცირა. სასამართლოს განმარტებით, ინტერნეტსივრცე საჯარო სივრცეა, ხოლო იქ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადება არღვევს საჯარო წესრიგს. აღნიშნული ქმედებით სასამართლომ შეზღუდა გამოხატვის თავისუფლება და ნორმა ევოლუციურად, კონსტიტუციური უფლების საწინააღმდეგოდ განმარტა. ამ გადაწყვეტილებამდე ხულიგნობად ითვლებოდა მხოლოდ პირისპირ სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის ფორმები (ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში) მსგავსი განმარტებით კი სასამართლომ გააფართოვა იმ გარემოებათა სფერო, რა შემთხვევაშიც პირის ქმედება წვრილმან ხულიგნობად შეიძლება იქნეს მიჩნეული.[19]

პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა მაქსიმალურად განჭვრეტადი უნდა იყოს და აკმაყოფილებდეს კანონის ხარისხის მოთხოვნებს, სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლების საწინააღმდეგო ევოლუციური განმარტება კი ქმნის “მსუსხავ ეფექტს” და

[18] <https://gdi.ge/ge/news/zviad-kupravasatvis-patimrobis-shefardeba-gamoxatvis-tavisuflebis-shezgudvis-sashishi-precedentia.page > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[19]< https://www.etaloni.ge/geo/main/index/29323> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

სანქციის შიშით აიძულებს პირებს თავი შეიკავონ ინტერნეტსივრცეში კრიტიკული, თუნდაც კონკრეტული პირისადმი შეურაცხმყოფელი აზრის გამოხატვისგან.[20]

3. **ფადი ასლის საქმე**

ფადი ასლიმ მოსამართლეს, რომელმაც საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრ კომპანიებს სოლიდური ჯარიმა დააკისრა, "კორუმპირებული" უწოდა. ამ განცხადების გამო საქალაქო სასამართლომ მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძისთვის მიყენებული მორალური ზიანისათვის ჯარიმის სახით 3000 ლარის გადახდა დააკისრა. ზედა ინსტანციების სასამართლოებმა გააუქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და განმარტეს, რომ ფადი ასლის განცხადება წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას, აზრს, რომელიც აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობს და დაცულია გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლებით.[21]

მისასალმებელია, რომ სასამართლო სისტემაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მზარდი სურვილების მიუხედავად, მოცემულ საქმეში, ზედა ინსტანციების სასამართლოებმა იხელმძღვანელეს გამოხატვის თავისუფლების დაცვის კონსტიტუციური სტანდარტით და არ დაუშვეს მისი არამართლზომიერი შეზღუდვა.

4. **რუსთავი 2-თან გამართული აქცია გიორგი გაბუნიას განცხადების გამო**

2019 წლის 7 ივლისს ტელეკომპანია "რუსთავი 2" - ის ტელეწამყვანმა გიორგი გაბუნიამ გადაცემა "P.S"- ში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და მისი გარდაცვლილი მშობლების მისამართით სალანძღავი სიტყვები გამოიყენა.[22] აღნიშნულმა ფაქტმა საზოგადოების რადიკალურად განწყობილ ჯგუფებში უარყოფითი რეაქციები გამოიწვია, რასაც ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის შენობასთან საპროტესტო აქციის ორგანიზება მოჰყვა. მათი აზრით, მსგავსი ტიპის საჯარო განცხადების გაკეთება კიდევ უფრო დაამძიმებდა რუსეთ- საქართველოს შორის არსებულ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას. დემონსტრანტები თავდაპირველად მოითხოვდნენ გიორგი გაბუნიას მიერ საჯაროდ ბოდიშის მოხდას, შემდეგ კი ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიასა და გიორგი გაბუნიას მიერ დაკავებული პოსტების დატოვებას.[23] დემონსტრაციის მონაწილეთა გარკვეული ჯგუფი აქციის მიმდინარეობისას ავლდენა განსაკუთრებულ აგრესიასაც , მათ ტელეკომპანიის შენობის მიმართებით კვერცხები და ცოცხებიც ისროლეს.[24]

---

[20] *შენიშვნა:* თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2019 წლის 9 დეკემბერს გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება

[21] < https://netgazeti.ge/news/221571/> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[22]< https://reginfo.ge> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[23] < https://on.ge/> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[24] < https://on.ge> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

ტელეკომპანია “რუსთავი 2”- მა გიორგი გაბუნიას განცხადებას თვითრეგულირების მექანიზმით უპასუხა, ხოლო ხელისუფლების წაარმომადგენლებმა მწვავედ გააკრიტიკეს ჟურნალისტის ეს ქმედება და ისაუბრეს მსგავსი ტიპის გამოხატვის ნეგატიურ შედეგებზე. მეტიც, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადებაც კი გაავრცელა, სადაც საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, სათანადო შეფასება მიეცათ ამ ქმედებისათვის.[25] მიუხედავად იმისა, რომ ჟურნლისტის ქცევა შესაძლოა ბევრი ადამიანისთვის ნამდვილად მიუღებელი ყოფილიყო, ოკუპანტი ქვეყნის ლიდერის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებით გამოწვეული ვნებათაღელვა და ხელისუფლების საგანგებო გამოხმაურება სრულიად უადგილო და გაუგებარია, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც ასეთი საგანგებო რეაქციით ხელისუფლება არ გამოირჩევა ხოლმე მაშინ, როდესაც ამის რეალური საჭიროება დგას.

მედიის თავისუფლება

1. აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენები

“აჭარის ტელევიზიის” მრჩეველთა საბჭომ 2019 წლის 19 აპრილს ტელეკომპანიის დირექტორი ნათია კაპანაძე თანამდებობიდან გადააყენა.[26] არასამთავრობო ორგანიზაციები ჯერ კიდევ იმპიჩმენტის პროცედურის დასრულებამდე მოუწოდებდნენ საბჭოს, საკითხს განსაკუთრებული ყურადღების მიდგომოდნენ და შეეფასებინათ ის ზიანი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო დირექტორის გადაყენებით.[27] აღნიშნული ფაქტი უარყოფითად შეაფასა სახალხო დამცველმაც[28]. დირექტორის თანამდებობისთვის კონკურსი ოთხჯერ გამოცხადდა, თუმცა სამ შემთხვევაში საბჭომ ვერ მოახერხა კანდიდატის შერჩევა, მეოთხე კონკურსი კი სასამართლომ შეაჩერა. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია ზოიძემ საბჭო პოლიტიკურ მოტივებში დადანაშაულა, ხოლო ტელეკომპანიის ჟურნალისტების თქმით ტელევიზია ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებისა და განსაკუთრებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მაუწყებლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო, სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის საფრთხის წინაშე იდგა.[29] საბოლოოდ, ტელეკომპანიის დირექტორად გიორგი კოხრეიძე დაინიშნა, რომელიც ტელეკომპანიის რეორგანიზაციას გეგმავს და

[25] < https://www.radiotavisupleba.ge/a/30041908.html> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[26] < https://batumelebi.netgazeti.ge/news/196942/ > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[27] < https://gdi.ge/ge/news/acharis-televizia.page> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[28]< http://bit.ly/2YCxKHF > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[29] < http://bit.ly/2LSnPJ5 > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

აცხადებს რომ ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებები მიკერძოებულია. ჟურნალისტები კი მას სარედაქციო საქმიანობაში ჩარევაში ადანაშაულებენ.[30]

აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია ნათია კაპანაძის დირექტორობის პერიოდში შეფასდა, როგორც თავისუფალი, მიუკერძოებელი და მზარდი ინსტიტუტი. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით უარყოფითად უნდა შეფასდეს ტელეკომპანიის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. მნიშვნელოვანია ტელეკომპანიამ შეინარჩუნოს სარედაქციო დამოუკიდებლობა, ხოლო ჟურნალისტთა და ტელეკომპანიაში დასაქმებულ პირთა უფლებები დაცული იყოს.

2. **რუსთავი 2-ის საქმე**

2019 წლის 18 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაცხადა, რომლითაც არ დააკმაყოფილა წარდგენილი განაცხადი. აღნიშნული გადაწყვეტილებით ასევე გაუქმდა ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, საჯარო რეესტრმა ქიბარ ხალვაშის განცხადება ტელეკომპანიის მესაკუთრის ცვლილების შესახებ იმავე დღეს დააკმაყოფილა. [31] ამავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უარყოფითად შეაფასეს ახალი მფლობელის მიერ ტელეკომპანიაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები.[32]

თანასწორობა

1. **ანტიდისკრიმინაციულ კანონში და მასთან დაკავშირებულ სხვა აქტებში შესული ცვლილებები**

"დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონში (ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი) და მასთან დაკავშირებულ აქტებში 2019 წლის განმავლობაში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. მათ შორის აღნიშვნის ღირსია ის, რომ კანონმდებლობით აკრძალული/სანქცირებადი გახდა შევიწროება და სექსუალური შევიწროება. ამასთან, მიღებული ცვლილებების შედეგად განმტკიცდა პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი შრომით, წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში, განათლების, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, დისკრიმინაციის წაქეზების, იძულებისა და ხელშეწყობის გარდა აიკრძალა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების დავალებაც.

---

[30]< http://bit.ly/36koDy1 > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[31] < https://1tv.ge/news/sajaro-reestrma-qibar-khalvashs-rustavi-2-dauregistrira/ > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[32] < https://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciebis-gancxadeba-rustavi-2-ze-mimdinare-sakadro-cvlilebebis-shesaxeb.page> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

დადებითად უნდა შეფასდეს პროცედურული და მექანიზმის აღსრულებასთან დაკავშირებული რეგულაციების გაუმჯობესებაც. კერძოდ, განხორციელებული ცვლილებებით სასამართლოში მიმართვის ვადა სამი თვიდან ერთ წლამდე გაიზარდა. ამასთან, გაძლიერდა სახალხო დამცველის მანდატი კერძო პირებთან მიმართებაში: თუკი კერძო პირები არ პასუხობენ სახალხო დამცველოს რეკომენდაციას ან არ იზიარებენ მას, სახალხო დამცველს შეუძლია მათ სასამართლოში უჩივლოს და მოსთხოვოს რეკომენდაციის შესრულება, ამავდროულად ისინი ვალდებული ხდებიან სახალხო დამცველს მიაწოდონ ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვა უცხოელების მიერ

საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებების ფონზე, რომელიც ეხებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის შემოღებას, 2019 წლის 2 ივლის საქართველოს პარლამენტმა მიიღო "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი. კანონი უცხოელებთან მიმართებით აწესებ ბლანკეტურ რეგულაციას და უცხოელი ფიზიკური პირის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების არსებობას უკავშირებს ერთადერთ შემთხვევას- თუკი მან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით მიიღო ან მართლზომიერ მფლობელობაში ჰქონდა. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს კი მიწის შეძენის შესაძლებლობა მხოლოდ შესაბამისი საინვესტიციო გეგმის წარდგენის და ამ გეგმის დამტკიცების შემთხვევაში ანიჭებს.

უნდა აღინიშნოს, რომ "სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის პირველი ვერსია შეიცავდა ღია დისკრიმინაციულ დებულებებს და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს განსაკუთრებით არახელსაყრელ უფლებრივ მდგომარეობაში ამყოფებდა. კერძოდ იგი ავალდებულებდა მათ, რომ თუნდაც მიწის მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში დაემუშავებინათ იგი ან გაესხვისებინათ და ამდენად აწესებდა დისკრიმინაციულ მიდგომას. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის და წარდგენილი რეკომენდაციების[33] გათვალისწინების შედეგად პარლამენტმა შეარბილა უცხოელთათვის დაწესებული, მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფლობასთან დაკავშირებული რეგულაციები.[34]

3. რელიგიის შესახებ კანონის მიღების მცდელობები

[33] < https://gdi.ge/uploads/other/0/950.pdf> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[34] < https://gdi.ge/ge/news/parlamentma-miwebis-kanonze-gdi-s-shenishvnebis-nawili-gaitvaliswina.page> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, სოფიო კილაძის ორგანიზებით 2019 წლის იანვარში შეიქმნა რელიიგიის თავისუფლების საკითხებზე მომუშავე სპეციალური ჯგუფი, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, აგრეთვე ამ თემაზე მომუშავე ექსპერტებისა და სამოქალაქო ორგანიზაციებისგან. ჯგუფის შეხვედრების გაცხადებულ მიზანს წარმოადგენდა რელიგიის თავისუფლების კუთხით ქვეყანაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათ გადასაჭრელად საკანონმდებლო გზების ძიება. თუმცა შეხვედრებზე მუდმივად ისმოდა არა რელიგიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად მიმართული მექანიზმების შემოღების ინიციატივა, არამედ პირიქით, კანონმდებლობის გაუარესების სურვილები ამ მიმართულებით.

პროცესის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება და უნდობლობა რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრებში მონაწილეობა ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო, პროცესი დახურული იყო მედიისათვის და შეხვედრების გადაღება/ჩაწერა არ მიმდინარეობდა, რაც კარგავდა იმის შესაძლებლობას, რომ ფართო საზოგადოებას ჰქონოდა სრულყოფილი ინფორმაცია შეხვედრების მიმდინარეობისას განხილული საკითხების შესახებ. ამავდროულად, პროცესი რიგ შემთხვევებში იყო უმართავი და მას ესწრებოდნენ დესტრუქციულად განწყობილი პირებიც, რომლებიც გამოირჩეოდნენ რელიგიური უმცირესობების მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებებით. შეხვედრების მიმდინარეობისას განსაკუთრებით აქტუალური იყო რელიგიის შესახებ კანონის მიღების საკითხი, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და სააგენტოს მიმართ კეთილგანწყობილი რელიგიური გაერთიანებები უჭერდნენ მხარს. აღნიშვნის ღირსია, რომ სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა ამ საკითხთან დაკავშირებით[35] და კომიტეტის თავმჯდომარეს შესთავაზე რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისათვის მათ მიერ გამოცემული რეკომენდაციათა კრებულით ეხელმძღვანელათ, რაც სოფო კილაძემ არ გაითვალისწინა. საბოლოოდ, შეხვედრათა ციკლი დასრულდა იმ დაპირებით, რომ კომიტეტი ამ შეხვედრების შედეგად შეჯერდებოდა კანონპროექტზე, თუმცა ამ დრომდე უცნობია კომიტეტის და კონკრეტულად კომიტეტის თავმჯდომარის გეგმები.

კანონის უზენაესობა

1. უზენაეს სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი

საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისა და კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებისთანავე ძალაში შევიდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და

[35] <https://marneulifm.ge/ka/siakhleebi/article/17966-religiatha-sabtcoshi-miichneven-rom-religiuri-organizaciebis-shesakheb-specialuri-kanonis-shemushaveba-dghis-tsesrigshi-ar-unda-dadges> [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

საქართველოს პარლამენტისთვის ნომინირების უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში „იუსტიციის საბჭო“) მიენიჭა. ამ პერიოდში საკანონმდებლო დონეზე გაწერილი არ იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევისა და ნომინირების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული პროცედურა. მიუხედავად ამისა, იუსტიციის საბჭომ 2018 წლის 24 დეკემბერს, საბჭოს სხდომაზე, საბჭოს არამოსამართლე წევრებთან ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციების გარეშე საქართველოს პარლამენტისათვის მონიმირების მიზნით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ე.წ. 10-კაციანი სია წარმოადგინა, რომელსაც კენჭი უყარა[36] და იმავე დღეს გადაუგზავნა საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. სიაში მოხვდნენ ისეთი მოსამართლეები, რომელთა უმეტესობა საზოგადოებაში უკანონო და უსამართლო მართლმსაჯულების განხორციელებასთან ასოცირდება.

აღნიშნული სიის წარდგენას და მისი დაჩქარებული წესით დამტკიცების მცდელობას სამოქალაქო საზოგადოების დიდი პროტესტი მოჰყვა[37]. პროცესმა სერიოზული განხეთქილება მოახდინა მმართველი პარტიის რიგებშიც, რასაც საბოლოოდ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის და მისი თანამოაზრე დეპუტატების მიერ საპარლამენტო უმრავლესობის დატოვება მოჰყვა[38]. აღნიშნული პროცესი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენელთა მხრიდანაც უარყოფითად შეფასდა, რის შედეგადაც წარმოდგენილი სია „ჩავარდა“ და საქართველოს პარლამენტმა შესაბამისი კრიტერიუმებისა და პროცედურების შესამუშავებლად მუშაობა დაიწყო. ამ მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში ჩართული იყო კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ წარმომადგენელი, რომელიც ადვოკატირებას უწევდა სამართლიანობის, ღიაობისა და გამჭვირვალეობის პრინციპებზე დაფუძნებული კრიტერიუმებისა და პროცედურების გაწერას. სამუშაო ჯგუფის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი კრიტიკას ვერ უძლებდა, რადგან ის არ ემსახურება რეალურ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას, რომელსაც მოსამართლეთა შერჩევის პროცესში დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომა და პროცესის გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად წარმართვა უნდა უზრუნველყო. პრინციპულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევის შეუძლებლობის გამო კოალიციას სამუშაო ჯგუფის დატოვება მოუხდა[39]. მოგვიანებით პროცესში ისეთი საერთაშორისო აქტორები ჩაერთნენ, როგორებიცაა ვენეციის კომისია და ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. მათი კვალიფიციური დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, რომელთა უმეტესობა

---

[36] < http://hcoj.gov.ge/ge/iustitsiis-umaghlesma-sabchom-uzenaesi-sasamartlos-mosamartleta-kandidatebi-daasakhela/3368 > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[37] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება. ხელმისაწვდომია: < http://www.coalition.ge/index.php?article_id=197&clang=0 > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[38] < https://www.radiotavisupleba.ge/a/29679175.html > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

[39] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება. ხელმისაწვდომია: < http://www.coalition.ge/index.php?article_id=201&clang=0 > [უკანასკნელად ნანახია 08/12/2019]

სრულ თანხვედრაში იყო კოალიციის მოსაზრებებთან, საქართველოს პარლამენტმა ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი დაამტკიცა.

2019 წლის სექტემბერში იუსტიციის საბჭომ საქართველოს პარლამენტს ორგანულ კანონში გაწერილი კრიტერიუმებისა და პროცედურების საფუძველზე შერჩეული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 20 კანდიდატი წარუდგინა. იუსტიციის საბჭოში გამართული გასაუბრებისგან განსხვავებით კანდიდატთა მოსმენები იურიდიულ კომიტეტში კონსტრუქციულად წარიმართა. საკომიტეტო მოსმენებში დეპუტატებთან ერთად დაუბრკოლებლად მონაწილეობდნენ სამეცნიერო წრეების, ადვოკატთა კორპუსის, სახელმწიფო იურიდიული სამსახურის, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. საკომიტეტო მოსმენაზე უზრუნველყოფილი იყო მოქალაქეთა შეკითხვების გაჟღერებაც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ნომინირებისა და საკომიტეტო მოსმენების პროცესმა, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები, მოსამართლეთა კორპუსის კომპეტენცია და კეთილსინდისიერება, ასევე საბჭოს უმრავლესობის მიერ კანდიდატთა შერჩევისას გამოვლენილი სუბიექტური მიდგომები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პროცესს ჰქონდეს ლოგიკური დასასრული და ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის მოსამართლეების არჩევისას მხედველობაში იქნეს მიღებული საკომიტეტო მოსმენებზე კანდიდატის მიერ წარმოჩენილი ცოდნა, სამოსამართლო ღირებულებების ერთგულება და მათი უნარ-ჩვევები, რაც შანსს მისცემს სასამართლო სისტემას ნაწილობრივ მაინც დაიბრუნოს საზოგადოების ნდობა.